



დაბერება საქართველოში

ციალა მაჭარაშვილი, 81 წლის, ბოლნისი

1933 წელს დავიბადე, ვცხოვრობდი თბილისში, დედ–მამასთან და და–ძმასთან ერთად. 8 წლის ვიყავი მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. მამა ომში წავიდა. დედამ კი პურის რიგში დგომისას იჩხუბა და დაიჭირეს, დავრჩით სამი ბავშვი ბებუის ამარა, მე 8 წლის, ჩემი ძმა კი 7 წლის იყო, მათხოვრობით ვირჩენდით თავს. ერთ საღამოს პოლიციის თანამშრომელმა დაგვიჭირა, გამოგვკითხა ოჯახური ამბები და კოჯრის ბავშვთა სახლში მიგვაბარა. ჩემი ძმა ჩემთან ერთად არ მოხვდა, სხვადასხვა შენობაში ვიყავით. გარკვეული ხნის შემდეგ შევპელი მომეკითხა ძმა, მაგრამ მითხრეს გარდაიცვალაო. ბევრი ვიტყვი. ერთ–ერთ თანამშრომელს შევეცოდე და ჩუმიად გამიმხილა, შენი ძმა ოჯახმა აიყვანა, გავა დრო და ალბათ ნახავო. ტირილით დავბრუნდი ჩემს ოთახში და დიდხანს ვტიროდი. 1943 წელს კოჯრის უპატრონო ბავშვები ქლუხორის ბავშვთა სახლში გადაგვიყვანეს და იქ ვიყავით 1949 წლამდე.

ამ წლებში ბევრი რამ შევისწავლე. ვცეკვავდი, ვმღეროდი. სხვადასხვა საგნებს ვსწავლობდი, ვუკრავდი ხალხურ საკრავებზე, ხალხური შემოქმედების სიყვარული დღემდე გამომყვა.

როგორც ზემოთ ვთქვი, სამი და–ძმანი ვიყავით. უმცროსი და ბებუასთან დარჩა. ბებუის გარდაცვალების შემდეგ იგი სიღნაღის ბავშვთა სახლში მოთავსდა. 1950 წელს თბილისის რადიომაუწყებლობამ მოსწავლეთა კონკურსი გამოაცხადა. იქ ორი ქართული ხალხური სიმღერა ვიმღერე, სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს ჩემს დას მიუქცევია ყურადღება და უტირია. ციალა მაჭარაშვილი ჩემი დააო უთქვამს. მაშინ ის მხოლოდ 10 წლის იყო.

კეთილი ადამიანების დახმარებით მე და ჩემი და მალე შევხვდით ერთმანეთს. ორივე გამოვედით ბავშვთა სახლიდან და სიღნაღში მამიდასთან გადავედით საცხოვრებლად. მოგვიანებით მე თბილისში ჩამოვედი ბიძასთან და ბიცოლასთან. ამ დროისთვის დედაც გამოსული ციხიდან, მაგრამ ჩვენი ბინა სხვას მიეკუთვნებინა და, დედა და მე ბინის გარეშე დავრჩით. დედა სოფელ მალაროში წავიდა ნათესავებთან, მე კი ბიძასთან დავრჩი და საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი. ერთხელაც სიღნაღში ჩავედი მამიდასთან. აქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. იგი დმანისიდან იყო და კახეთში სამუშაოდ იყო ჩამოსული, გავყევი ცოლად და წამოვედით დმანისში საცხოვრებლად. მას ჰყავდა მშობლები და და–ძმა. მათთან ერთად განვაგრძე ცხოვრება.

ამდენი გაჭირვების შემდეგ მქონდა ოჯახი, ჭერი, მყავდა საყვარელი ადამიანი, ვიჯერებდი რომ ვიყავი ბედნიერი. მაგრამ გამომიმუშავდა დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი და ვეღარ ვეგუებოდი ოჯახურ ჩარჩოებს, გადავწყვიტე მეუღლესთან ერთად ცალკე მეცხოვრა. ავიყოლიე ქმარი და ბოლნისში ქირით გადავედით. ამ დროს უკვე ორი შვილი მყავდა გოგო და ბიჭი. ერთხელაც გოგონა ავად გამიხდა, თბილისში გამწერეს და ორი თვე საავადმყოფოში გავატარე, ასე შევეჩვიე ამტანობას. ახლა კი დიდი ღალატის ამბავიც უნდა გითხრათ. საავადმყოფოდან სახლში დაბრუნებულს ქმარი საყვარელთან ერთად წასული დამხვდა. ბინის პატრონმა მითხრა

თავისი ბარგი წაიღო და მიგატოვაო, მარტო ცხოვრების არ შემშინებია, მთელი ბავშვობა ასე გავატარე და ახლაც გავუძლებ მეთქი - ვიფიქრე. დავრჩი ორი შვილით ხელში, უბინაოდ, უფულოდ და უპატრონოდ. ბავშვები საბავშვო ბაღში მივიყვანე და სასაბავშვოში დავიწყე მუშაობა, საჭმელი მრჩებოდა ბავშვებისთვის, ნელ ნელა წამოვიზარდე. ისინიც შეეჩვივნენ შრომას და თავის თავზე ზრუნვას, გამოუმუშავდათ უნარი რომ დამოუკიდებლად ეცხოვრათ. 15 წელი ქირით ვიყავი, მერე კი სახელმწიფომ მომცა ბინა. შრომა და სიმღერა ერთმანეთს შევუხამე, ვმღეროდი რესტორნებში, ვუკრავდი ფანდურზე, ვმონაწილეობდი კონცერტებში. 30 წელი შრომასა და სიმღერაში გავატარე, შვილები გავზარდე, დავაოჯახე, დავაბინავე და სიბერემაც მომიკაკუნა კარზე.

საქართველოში დავიბადე, გავიზარდე და დავბერდი, ბევრი ჭირი ვნახე, ბევრი გადავიტანე, მაგრამ აქედან წასვლა არ მიფიქრია. სიბერე ძნელია, მაგრამ ნაყოფიერ შემოდგომას ჰგავს, მოსავლის მოწვევის დრო რომ მოვა ისეთია. სიმღერა მშველის, გამომიმუშავდა ჩვევა, რომ სიმღერით გავიხალისო ცხოვრება. ამჟამად 81 წლის ვარ, ვიღებ მოხუცებულობის პენსიას. მართალია ცოტაა, მაგრამ სულ არაფერს მაინც სჯობია. მთელი ჩემი ცხოვრება ერთი დიდი მოთმინებაა და ამასაც ვითმენ.

2013 წელს წითელი ჯვრის საზოგადოებამ გახსნა მოხუცთა დახმარების პროგრამა. მოვგროვდით ჩემი ასაკის ქალები და ერთმანეთს ერთმანეთს ჩვენი გაჭირვება და გამოცდილება გავუზიარეთ, ზოგს რა ეხერხება ზოგს რა, ყველა რაღაცას ვაკეთებთ. თავს დაგვტრიალებენ მზრუნველი თანამშრომლები და ყურადღებას არ გვაკლებენ.

თუ სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, იმ ქვეყანაში დაბერება არც თუ ძალიან ცუდია. მსგავსი პროექტები ჩვენი ასაკის ადამიანებს ცხოვრებას უხანგრძლივებს და გვაფიქრებინებს, რომ ვიღაცას კიდევ ვჭირდებით. მოდით და გვნახეთ ეს გახარებული მოხუცები, იზრუნეთ ჩვენზე და ღმერთი გადაგიხდით სამაგიეროს. მე ცხოვრებამ ჭირსა შიგან გამაგრება მასწავლა და ახალგაზრდებსაც ამას ვუანდეძებდი მოითმინეთ და გიყვარდეთ ერთმანეთი.

Getting Old in Georgia

Tsiala Matcharashvili, 81, Bolnisi

I was born in 1933 and lived in Tbilisi together with my mother, father and brother. I was eight when World War II started. My father went to war and my mother was arrested when she argued in the bread line. At that time I was eight and my brother was seven and we had to stay with our grandmother. We had to beg to somehow survive. One evening a policeman caught us, asked us about our family and then took us to the Kojori orphanage. My brother did not live with me as he was sent to another building. After a while I managed to go there but I was told that he had died. I cried a lot. One of the people working there felt sorry for me and secretly told me that he had been adopted by some family and that I would probably be able to see him one day. I cried a lot. In 1943, everyone at our orphanage was moved to the Klukhoni orphanage where we stayed until 1949.

During these years I learned a lot. I danced, sang, studied different subjects and played folk music instruments. I am still fond of folk arts.

I had a brother and a sister. My little sister stayed with our grandmother and after her death she was taken to the Signagi orphanage. In 1950, the Tbilisi Radio announced a competition for schoolchildren. I sang two Georgian folk songs and when my name was announced my sister heard it and cried a lot. She told everybody that I was her sister. She was only 10 then.

Kind people helped us to meet soon after. We left the orphanages and went to live with our aunt in Signagi. Later, I moved to Tbilisi to live with my uncle and his wife. Our mother had been released from prison by that time but our apartment was occupied by others and my sister, mother and I did not have a place to live. My mother went to live in the village of Magaro, where we had relatives, and I stayed with my uncle and helped him a lot at home. Once I went to visit my aunt in Signagi and that was where I met my future husband. He was from Dmanisi but was working in Kakheti. I married him and we went to live in Dmanisi. My husband's parents lived there and we all lived together.

After so many hardships I had a family, a shelter, a beloved person in my life. I believed I was happy but I was used to living independently and it was more and more difficult for me to live in such a big family. My husband and I decided to rent an apartment in Bolnisi and to live separately from his parents. We had two children at that time, a son and a daughter. Once my daughter got sick and we were sent to Tbilisi where we stayed for two months. Now, I am to tell the story of a big betrayal. When I returned back home, I found out that my husband had gone away with his lover. The landlord said that my husband had taken away his luggage and had left me. I was scared to live alone as I had spent my childhood alone and I thought I wouldn't manage it. I had two children, no apartment, no money and nobody to support us. I took my children to a kindergarten and started working at the canteen. My food was leftovers which I used to take home for my children and so we made both ends meet. My children were used to working and living independently. I had been living in a rented apartment for 15 years until the state gave us an apartment. To make a living I sang at restaurants, played the panduri and participated in concerts. I spent 30 years working and singing, and bringing up my children. They got married, had their own places to live... By that time, old age had knocked on my door.

I was born, grew up and became old in Georgia; I faced and endured many difficulties and hardships but I have never thought of going away. Old age is difficult but it can be like a fruitful autumn when the yield is harvested. Songs have helped me and given me encouragement throughout my life. I am 81 now and get an old age pension. It is not much but it is better than nothing. All my life I have been patient and I am trying to be patient now as well.

In 2013, the Red Cross launched a programme to assist old people. We, old women, gathered together and shared our concerns and experience. Some were skilled in some things, others in other things, we all had some skills. The programme's staff were very attentive and considerate.

If the government takes care of its citizens, then it is not that bad to get old in this country. Such projects prolong old people's lives and make us think that we are still needed by somebody. Come and see happy, old people, take care of us, and God will reward you. My life has taught me to resist and endure difficulties and I wish that the younger generation can be patient and love each other.

Tsiala Matcharashvili

1.04.2014.